ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

 790 20-33-05

5.. §.-§“-“§

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №348

22 ნოემბერი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბეღლავში მდებარე 300 კვ.მ. სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.22.22.153) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შეძენის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქრთველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქრთველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 04 ნოემბრის №323 ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისიის 2013 წლის 18 ნოემბრის ურთიერთშეთანხმების აქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეძენილ იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბეღლავში მდებარე 300 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №28.22.22.153).
2. უძრავი ქონების შესაძენი ღირებულება განისაზღვროს 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს, (ზურაბ ჩანტლაძე) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის N1234 განკარგულების საფუძველზე მოახდინოს ანგარიშსწორება უძრავი ქონების მესაკუთრესთან (გალაქტიონ კალანდაძე; პ/ნ – 46001002806) და უზრუნველყოს უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე აღრიცხვა.
4. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი ქმედების განხორციელების მიზნით კერძოდ, შეძენილი უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №28.22.22.153) ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და

რეგისტრაციის უფლებამოსილება მიენიჭოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს ვლადიმერ ლომთათიძეს (პ/ნ – №46001002560).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე – ჭავჭავაძის ქუ 3 §ყ
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*